წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში გაშვების პირობები

- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50–ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა: "ფასიანი პოლიტიკური რეკლამა" ან "უფასო პოლიტიკური რეკლამა".

წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი:

- წინასაარჩევნო სარეკლამო მასალა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების მოწოდებას.
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო სარეკლამო მასალა აგრეთვე არ უნდა შეიცავდეს არაეთიკურ, უცენზურო და შეურაცხმყოფელ სიტყვებს. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ლიცენზიის მფლობელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე. წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება რეკლამის დამკვეთს.

ტექნიკური სტანდარტები:

კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც გეგმავს უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებას ``საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში``, იმისათვის, რომ სარეკლამო ბადე დაიგეგმოს თითოეული სუბიექტის ინტერესებისა დაუფლებების დაცვით, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სუბიექტმა სრულად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

- წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად სარეკლამო რგოლი უნდა იყოს წარმოდგენილი ``საზოგადოებრივ მაუწყებელში`` მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა 68. რგოლს თან უნდა ახლდეს ოფიციალური წერილი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის გიორგი ბაქრაძის სახელზე.
- სარეკლამო რგოლის ჩანაცვლების შემთხვევაში, ჩასანაცვლებელი სარეკლამო რგოლის განთავსების შესახებ მოთხოვნა ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი ოფიციალურად წერილობით.
- სარეკლამო მასალა წარმოდგენილი უნდა იქნას დროულად, ეთერში გაშვებამდე მინიმუმ 1 სამუშაო დღით ადრე.
- სარეკლამო მასალა უნდა იყოს მოწოდებულიTARGA ან AVI ფორმატში 720 x 576 რეზოლუციით DVD დისკზე.
- წარმოდგენილი რგოლის (ან რგოლების) ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 60 წამს და უნდა იყოს სრული 60 წამი ან 30 წამი, სხვა შემთხვევაში არ მოხდება გამოუყენებელი საეთერო დროის ანაზრაურება შეკრებითობის პრინციპით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ საეკლამო სამსახურში: 240 90 04
მალხაზ ვარდოსანიძე 577 171 730